

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2020

	ს ა რ ჩ ე ვ ი	
განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		4
•	ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	6
•	ისტორიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	10
•	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	13
•	ქართული ფილოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	17
•	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	20
•	ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	26
•	მასწავლებლის მომზადების პროგრამა	30
•	მასწავლებლის მომზადების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	35
•	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	39
•	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	42
•	ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	50
•	ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	53
•	საქართველოს ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	58
•	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა	61
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		66
•	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	67
•	ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	71
•	ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	74
•	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	78
•	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	82
იურიდიული ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		87
•	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	88
•	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	94
•	სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	97
ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი		102
•	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	104
•	ინფორმაციული ტექნოლოგიების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	108
•	ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	111
•	ეკოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	115
•	აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	118
•	აგრონომიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	122

•	ექსტენცია და აგროგანათლება დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	124
•	ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	126
•	აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	130
•	ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	134
•	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	138
•	ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა	146
•	აგრონომიის სადოქტორო პროგრამა	151

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[1]	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამის განხორციელების ადგილი
1.	ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში კოდი 0222	240	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №390 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
	ისტორიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №390 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
2.	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში კოდი 0232	240	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №391 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
	ქართული ფილოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		60	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №391 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
3.	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში კოდი 0231	240	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №392 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
	ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №392 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
4.	მასწავლებლის მომზადების პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული - 17.03 2016 წ. №1 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	17.03.2023	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
5.	მასწავლებლის მომზადების დამატებითი საგანამათლებლო პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული - 17.03 2016 წ. №1 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	17.03.2023	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი

6.	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	ქართული	-	60	აკრედიტებული - 24.01. 2019 წ. №25 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	24.01.2026	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
7.	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	განათლების მაგისტრი კოდი 0114	300	აკრედიტებული - 08.08 2018 წ. №97 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	08.08.2022	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
8.	ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა	ქართული	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი კოდი 0232	120	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №397 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
9.	ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში კოდი 0232	120	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №395 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
10	საქართველოს ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	საქართველოს ისტორიის მაგისტრი კოდი 0222	120	აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №396 ავტორიზებული- 20.02.2020 წ. №02	01.07.2021	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი
11	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ქართული ფილოლოგიის დოქტორი კოდი 0232	არანაკლებ 40			სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსი

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ისტორია (History)

III. კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში: VI

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
კოდი 0222

VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი - 8 ოცკვირიანი სემესტრი (15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა; 2 კვირა - დასკვნითი გამოცდა; 3 კვირა - დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1კრედიტი - 25 საათი). მათ შორის 180 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად სპეციალობაზე (35 კრედიტი –თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები; 105 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 20 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომი, 10 კრედიტი – თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები), 60 კრედიტი – დამატებითი (minor) პროგრამა.

60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ერთი დამატებითი (minor) პროგრამა უნივერსიტეტში არსებული minor პროგრამებიდან, ასევე სასწავლო კურსი, მოდული ან სასწავლო კურსების ბლოკი უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი პროგრამებიდან, რაც დაეხმარება მას დასაქმებისათვის ან/და სწავლის გაგრძელებისათვის. ისტორიის პროგრამაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე 60 კრედიტის ფარგლებში შეიძლება უღიარდეს მობილობამდე სხვა პროგრამაზე/პროგრამებზე გავლილი სასწავლო კურსები.

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას–სულ 6000 საათს. აქედან 2539 საათი საკონტაქტოა (945–სალექციო, 1410 – სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკუმი, 184 – შუალედური და დასკვნითი გამოცდების), რაც შეადგენს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის 42%–ს. 3461 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას(58%).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტი კონკრეტულ პროგრამაზე აბიტურიენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებისთვის უდგენს მე-4 არჩევითი საგნების ნუსხას, რომელიც სტუდენტს გაუადვილებს პროგრამის სასწავლო კურსების ათვისებას. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნა-ჩვევების ტესტს ერთიენ ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიან პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და

უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ახალკაცი – განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (საკონტაქტო ინფორმაცია: e-mail: Akhalkatsi@Sjuni.edu.ge 577 98 77 29)

X. პროგრამის აკრედიტაცია: 13.09.2012 წ. №390 (აკრედიტაციის ვადა 01.07.2021 წ.)

XI. პროგრამის განახლების თარიღი: 2020 წ.

XII. პროგრამის მიზანი:

ა. სტუდენტს მისცეს: წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ყველა პერიოდის (პრეისტორიული, ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი) ფართო ცოდნა; საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონის და მსოფლიოს იმ ცივილიზაციათა ისტორიის კონტექსტში, რომელთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული.

ბ. სტუდენტს ჩამოუყალიბოს: მოვლენების ისტორიული ხედვის და ზოგადად ისტორიული პროცესის კრიტიკული გააზრების უნარი როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; წარსულსა და დღევანდელობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კრიტიკულად აღქმისა და გააზრების უნარი.

გ. სტუდენტი დაეუფლოს: სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და განმარტების, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზის და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; დამოუკიდებლად სწავლისა და კვლევითი ხასიათის პროექტის/ნაშრომის მომზადების უნარ-ჩვევებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

დ. ხელი შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და რეგიონული იდენტობის ფორმირებას, საქართველოს და სხვა ქვეყნების კულტურული ღირებულებებისა და მსოფლმხედველობრივი თავისებურებების გააზრებასა და პატივისცემას.

XIII. დასაქმების სფეროები:

ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება (საჭიროა დამატებით პროგრამად ,,მასწავლებლის მომზადების პროგრამის“ არჩევა და სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარება), მუზეუმი, არქივი, ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ტურისტული ფირმები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (არააკადემიური თანამდებობა), დამხმარე ფუნქცია სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, კერძო სექტორი. ისტორიის ბაკალავრს სამომავლო დასაქმების პერსპექტივის გაზრდის მიზნით დამატებით პროგრამად შეუძლია აირჩიოს: მასწავლებლის მომზადების პროგრამა, ფილოლოგია (ქართული და უცხოური) და სხვ.

XIV. სწავლის შედეგი:

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

1. აქვს წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; ფართო ცოდნა მსოფლიო ისტორიის პრეისტორიული, ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდების ფართო ცოდნა; ამ სფეროს თეორიული პრინციპებისა და კვლევის მეთოდების ცოდნა. აცნობიერებს წარსულს, როგორც ერთიან ისტორიულ პროცესს მის მრავალფეროვნებაში (ისტორიული ეპოქები თავისი ძირითადი მახასიათებლებით, სხვადასხვა ქვეყნის განვითარების სპეციფიკა, კულტურული და მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობა და მრავალფეროვნება და სხვ.). ახდენს არსებული ცოდნის სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას და ნაწილობრივ გადაფასებას.
2. აქვს საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონის და მსოფლიოს იმ ცივილიზაციათა ისტორიის კონტექსტში, რომელთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული.

შეუძლია საქართველოს და სხვა ქვეყნების კულტურული ღირებულებებისა და მსოფლმხედველობრივი თავისებურებების გააზრება.

შეუძლია:

3. ისტორიული მოვლენების გაანალიზება, ისტორიული პროცესების მიმართ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება; ისტორიული წყაროების ანალიზი და კრიტიკული შეფასება, მათი კულტურულ და ისტორიულ ჭრილში განხილვა და კომენტირება;
4. სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის (ბიბლიოგრაფიული, ელექტრონული, საარქივო, სამუზეუმო, ზეპირსიტყვიერი და სხვ.) საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული მითითებების გამოყენებით, აკადემიური წერისა და ეთიკური პრინციპების დაცვით კვლევითი პროექტის/ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია; საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.
5. პროფესიული კომუნიკაცია როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტერმინოლოგიის, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

XVIII . სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის
- ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის
- დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ისტორია (History)

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: არ ენიჭება

VII. პროგრამის მოცულობა: 60 ECTS კრედიტი (1კრედიტი - 25 საათი).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ისტორიის minor პროგრამის არჩევა შეუძლია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ სპეციალობის სტუდენტს, სადაც გათვალისწინებულია დამატებითი პროგრამა.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ახალკაცი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (საკ. ინფ.: e-mail:Akhalkatsi@sjuni.edu.ge 577 98 77 29

X. პროგრამის აკრედიტაცია: 13.09.2012 წ. №390

XI. პროგრამის განახლების თარიღი: 2019 წ.

XII. პროგრამის მიზანი:

ა. სტუდენტს მისცეს: წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ყველა პერიოდის (პრეისტორიული, ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი) ფართო ცოდნა; საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონის და მსოფლიოს იმ ცივილიზაციათა ისტორიის კონტექსტში, რომელთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული.

ბ. სტუდენტს ჩამოუყალიბოს: მოვლენების ისტორიული ხედვის და ზოგადად ისტორიული პროცესის კრიტიკული გააზრების უნარი როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; წარსულსა და დღევანდელობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კრიტიკულად აღქმისა და გააზრების უნარი.

გ. სტუდენტი დაეუფლოს: ისტორიის კვლევის სპეციფიკას და თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიას; დამოუკიდებლად სწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიების უნარ-ჩვევებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

დ. ხელი შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და რეგიონული იდენტობის ფორმირებას, საქართველოს და სხვა ქვეყნების კულტურული ღირებულებებისა და მსოფლმხედველობრივი თავისებურებების გააზრებასა და პატივისცემას.

XIII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:** • აქვს წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა; ფართო ცოდნა მსოფლიო ისტორიის პრეისტორიული, ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდების ფართო ცოდნა; ამ სფეროს თეორიულ პრინციპებისა და კვლევის მეთოდების ცოდნა. გააცნობიერებს წარსულს, როგორც ერთიან ისტორიულ პროცესს მის მრავალფეროვნებაში (ისტორიული ეპოქები თავისი ძირითადი მახასიათებლებით, სხვადასხვა ქვეყნის განვითარების სპეციფიკა, კულტურული და მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობა და მრავალფეროვნება და სხვ.). მოახდენს არსებული ცოდნის სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას და ნაწილობრივ გადაფასებას. • აქვს საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონის და მსოფლიოს იმ ცივილიზაციათა ისტორიის კონტექსტში, რომელთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული. შეძლებს საქართველოს და სხვა ქვეყნების კულტურული ღირებულებებისა და მსოფლმხედველობრივი თავისებურებების გააზრებას.

უნარები	**შეუძლია:** • ისტორიული მოვლენების გაანალიზება, ისტორიული პროცესების მიმართ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება; ისტორიული წყაროების ანალიზი და კრიტიკული შეფასება, მათი კულტურულ და ისტორიულ ჭრილში განხილვა და კომენტირება; • სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის (ბიბლიოგრაფიული, ელექტრონული, საარქივო, სამუზეუმო, ზეპირსიტყვიერი და სხვ.) საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული მითითებების გამოყენებით, აკადემიური წერისა და ეთიკური პრინციპების დაცვით კვლევითი პროექტის/ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია; საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება. • პროფესიული კომუნიკაცია როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტერმინოლოგიის, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის
- ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგია

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში; კოდი 0232.

VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი – 8 ოცკვირიანი სემესტრი (15 კვირა–სააუდიტორიო მეცადინეობა; 2 კვირა–დასკვნითი გამოცდა; 3 კვირა–დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1კრედიტი - 25 საათი). მათ შორის 180 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად სპეციალობაზე (105 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომი, 35 კრედიტი – თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები; 20 კრედიტი – ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი – თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები;), 60 კრედიტი – დამატებითი (minor) პროგრამა.

60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ერთი დამატებითი (minor) პროგრამა უნივერსიტეტში არსებული minor პროგრამებიდან, ასევე სასწავლო კურსი, მოდული ან სასწავლო კურსების ბლოკი უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი პროგრამებიდან, რაც დაეხმარება მას დასაქმებისათვის ან/და სწავლის გაგრძელებისათვის. პროგრამაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე 60 კრედიტის ფარგლებში შეიძლება უღიარდეს მობილობამდე სხვა პროგრამაზე/პროგრამებზე გავლილი სასწავლო კურსები.

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას–სულ 6000 საათს. აქედან 2539 საათი საკონტაქტოა (945–სალექციო, 1410 – სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკუმი, 184 – შუალედური და დასკვნითი გამოცდების), რაც შეადგენს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის 42%–ს. 3461 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას(58%).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნა-ჩვევების ტესტს ერთიენ ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიან პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ ბერიძე

X. პროგრამის აკრედიტაცია: 13.09.2012 წ. №391 (აკრედიტაციის ვადა 01.07.2021 წ.)

XI. პროგრამის განახლების თარიღი: 2020 წელი

XII. პროგრამის მიზანი: ქართული ფილოლოგიის (ქართული ენა და ლიტერატურა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

- მისცეს სტუდენტებს ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური მიმართულებით ქართველური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნა
- შეასწავლოს სტუდენტს აკადემიურ დონეზე ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორია, ენის ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტური თავისებურებანი, ქართული ლიტერატურის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.
- გამოუმუშავოს ლინგვისტური და ლიტერატურისმცოდნეობითი ანალიზის უნარი.
- შესძინოს სტუდენტს ზოგადი კომპეტენციები, რომელიც გამოადგებათ მათ შემდგომი სასწავლო თუ სამეცნიერო საქმიანობისას.

XIII. დასაქმების სფერო:

- საგამომცემლო საქმიანობა და წიგნის ბაზარი;
- ბიბლიოთეკები და საისტორიო – ლიტერატურული არქივები;
- კულტურის სფეროს დაწესებულებები ადმინისტრაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით;
- მედია და თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა (მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი).
- საზღვარგარეთის სახელმწიფო და ბიზნეს დაწესებულებებში მთარგმნელად, რეფერენტად და სხვა.
- საბაზო და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებად 2014 წლამდე.
- სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებში, რომლებიც მიზნად ქართული ენის მხარდაჭერას ისახავს.

XIV. სწავლის შედეგი:

1. მსჯელობს ენათმეცნიერების თეორიების, ხერხებისა და მეთოდების, ენათმეცნიერების ახალი მიმართულებების, დამწერლობის წარმოშობისა და მისი ისტორიის შესახებ ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ქართული ენის გრამატიკის ფართო ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი კანონზომიერებების კრიტიკულ გააზრებას, აფასებს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ეტაპებს და მის ისტორიას.
2. ლექსიკოლოგიის ფართო ცოდნის საფუძველზე განმარტავს და აანალიზებს ენის ლექსიკურ ერთეულებს, იწერს და ახარისხებს ქართული სალიტერატურო ენის დიალექტურ ფორმებს, ტოპონიმებს. ერთმანეთს ადარებს ქართველურ ენა–დიალექტებს. იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, სწორმეტყველებისა და მართლწერის წესებს.
3. აანალიზებს ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდებსა და ტენდენციებს, აკავშირებს მას ლიტერტურულ მიმდინარეობათა ისტორიასთან. მსჯელობს ქართული ლიტერატურის ძეგლების, ქართული ემიგრანტული მწერლობის ნიმუშების, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურული სპეციფიკის საკითხებზე. კრიტიკულად იაზრებს ქართული ფოლკლორის/მითოსის, ანტიკური და/ან საზღვარგარეთის ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშების ძირითად პრობლემატიკას ქართული ლიტერატურის კონტექსტში.
4. აფასებს რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობას, აკავშირებს მის პრობლემატიკას მსოფლიო ლიტერატურასთან. ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ ცოდნის გააზრებით განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.

5. ტრადიციული და უახლესი მეთოდების გამოყენებით აგროვებს და განმარტავს ენობრივ (დიალექტურ-ტოპონიმურ და ლიტერატურულ (ფოლკლორულ) მონაცემებს. სიტუაციების სწორი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სათანადო დასკვნებს, იმოწმებს მონაცემებს, რაც საშუალებას აძლევს არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.
6. წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე, ლოგიკურად ასაბუთებს თავის შეხედულებებს. გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების პერსპექტივას, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
7. შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით არგუმენტირებულად წარმოადგენს, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის გზებს ესეს, სამეცნიერო-კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის სახით. ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგია

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: არ ენიჭება

VII. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ ბერიძე

X. პროგრამის აკრედიტაცია: 2012 წლის 13 სექტემბერი, გადაწყვეტილება N 391

XI. პროგრამის განახლების თარიღი: 2020 წელი

XII. პროგრამის მიზანი:

ქართული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის მიზანია:

- ჩამოუყალიბოს სტუდენტს ინტერესი ფილოლოგიის საკითხებისადმი;
- შეასწავლოს პრაქტიკული ქართული ენა, სტუდენტს შესძინოს ქართული ენის ცოდნა იმ დონეზე, რომელიც მას სჭირდება საბაკალავრო პროგრამაზე ქართულ ენაზე სწავლის გასაგრძელებლად, წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობის დასამყარებლად.
- მისცეს ენობრივად და სტილისტურად გამართული მსჯელობისა და წერის უნარი, რათა გამოხატოს თავისი აზრი და გადმოსცეს სამეცნიერო ლიტერატურის არსი, გამოთქმული შეხედულებები.

XIII . დასაქმების სფერო:

- ქართული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივ და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
- სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებში, რომლებიც მიზნად ქართული ენის მხარდაჭერას ისახავს.

XIV. სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

	1. ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ ცოდნის საფუძველზე, გაანალიზოს ტექსტი ლინგვისტურად, განასხვაოს ტოპონიმიკის ძირითად სტრუქტურული, სემანტიკური მოდელები/ ლექსიკური მარაგის, სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნას და ააგოს ქართული ენის ნორმების შესატყვისი კონსტრუქციები, აითვისოს ენობრივი ფორმები, შეარჩიოს კონტექსტის შესაბამისად. ჩაიწეროს და დააახარისხოს ქართული სალიტერატურო ენის დიალექტურ ფორმები. წაიკითხოს და გააანალიზოს ტოპონიმები, გააანალიზოს ქართველური ენა–დიალექტების მსგავსება-განსხვავებებს. 2. ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდების და ძირითადი ტენდენციების. ქართული ლიტერატურის ძეგლების, ქართული ფოლკორული ნიმუშების ცოდნაზე დაყრდნობით დააკავშიროს ქართული მწერლობა და მითოსი/გაერკვეს ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში , გაიაზროს მის ნაწილებს შორის კავშირი. გაიგოს სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების თავისებურებების გაგება, შეადაროს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტები. შეადაროს დაგა აანალიზოს ლიტერტურის ნიმუშები

	3. წაიკითხოს და გაიგოს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, გააანალიზოს მხატვრული ნაწარმოები და ფოლკლორულ ნიმუშები იდეური, სტრუქტურული და მხატვრულ–ესთეტიკური თვალსაზრისით 4. იმსჯელოს წყაროებზე დაყრდნობით ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის პრობლემებზე, ლოგიკურად დაასაბუთოს თავისიშეხედულებები. 5. გააანალიზოს და მოაახდინოს დემონსტრირებას, რაც ეფუძნება მიღებული ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად შეფასებისა და გააზრების პროცესს. 6. სიტუაციების სწორი ანალიზის საფუძველზე ჩამოააყალიბებს სათანადო დასკვნებს, დაიმოწმებს მონაცემებს, გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან თანამედროვე კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, განახორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის
- ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის
- დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

I. ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგია, /English Philology

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლებისენა: ქართული, ინგლისური

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (Bachelor of Humanities in English Philology); კოდი 0231

VII. პროგრამის მოცულობა: 240ECTS (კრედიტი)

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი – 8 ოცკვირიანი სემესტრი (15 კვირა –სააუდიტორიო მეცადინეობა; 2 კვირა–დასკვნითი გამოცდა; 3 კვირა– დამატებითი გამოცდა).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება ისწავლოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიის საბაკალვრო პროგრამაზე.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

X. პროგრამის აკრედიტაცია: გადაწყვეტილება №241, 19.12.2019 წ. (აკრედიტაციის ვადა 19.12.2023 წ.)

XI. პროგრამის განახლების თარიღი:

XII. პროგრამის მიზანი:

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპენტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაზე და წარმართავს მრავალმხრივ კომპლექსურ საქმიანობას ვეტერინარიის სფეროში. სტუდენტებს ეცოდინებათ:

1. ცხოველის (მათ შორის შინაური ცხოველის) ინფექციური, ინვაზიური, არაგადამდები დაავადებების მკურნალობა, პრევენციული (პროფილაქტიკური) ღონისძიებების ჩატარება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
2. მოსახლეობის დაცვა ცხოველისა და ადამიანის საერთო (ზოონოზური) დაავადებებისაგან და ქვეყნის ვეტერინარული კეთილსაიმედობის უზრუნველყოფა;
3. უვნებელი ცხოველური პროდუქტების წარმოების მიზნით ცხოველური წარმოშობის სურსათის ინსპექცია და კონტროლი, ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი ვეტერინარული შემოწმება;
4. დაავადებაზე დიაგნოზის დასმა, ლაბორატორიული და დიფერენციული სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ჩატარება;
5. ქირურგიული, გინეკოლოგიური ჩარევები, პაციენტის კლინიკური სტატუსის შეფასება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
6. გაკვეთისა და სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზის კვალიფიციურ დონეზე ჩატარება;
7. სამკურნალწამლო ფორმების დამზადება. ახალი პრეპარატების ექსპერიმენტული, პრეკლინიკური და კლინიკური გამოცდის ჩატარების ორგანიზება, სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატების სწორად შერჩევა და რეცეპტის გამოწერა;

8. ცხოველების მოშენება, მოვლა-შენახვისა და პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდას, მათ კეთილდღეობასა და დაცვას.

მთლიანობაში, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სრულად გამოხატოს სწავლისა და სწავლების შინაარსი და ის კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის დასრულების შემდეგ, ასევე უზრუნველყოს სტუდენტის პიროვნული პოტენციალის სრული რეალიზება.

XIII. სწავლის შედეგი/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი):

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, მსოფლიოში არსებული მსგავსი პროგრამებისა და დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები, კერძოდ ბელგიის გენტის უნივერსიტეტისა და ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის სწავლისა და სწავლების სისტემები. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.

სწავლის ზოგადი შედეგები/კომპეტენციები

ანალიზისა და სინთეზის უნარი:

სტუდენტები შეძლებენ:

- რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულ შეფასებას, მათ დამოუკიდებელ ანალიზს, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემასა და შემდგომ მათ გამოყენებას;
- ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომას, სხვადასხვა მონაცემების გაანალიზებას, შეჯამებას, ინტეგრაციას, დასკვნის გამოტანას, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების ან/და საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანას.

ინფორმაციის მართვა:

სტუდენტები შეძლებენ:

- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებას, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებას და მის კრიტიკულად, პროფესიულ დონეზე შეფასებას, პროფესიული საქმიანობისას მოძიებული ინფორმაციის გამოყენებას.

პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება:

სტუდენტები შეძლებენ:

- დამოუკიდებლად განსაზღვრონ კომპლექსური პრობლემები, ჩამოაყალიბონ და მოიძიონ მისი გადაჭრის გზები, მოახდინონ მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- პრობლემების გადაჭრისას და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენონ ცოდნა და დამატებითი რესურსები საკუთარი სპეციალობის ფარგლებში.

ჯგუფში მუშაობის უნარი:

სტუდენტები შეძლებენ:

- ჯგუფში მუშაობას, როგორც წევრის, ასევე ლიდერის დონეზე;
- ამოცანების მკაფიოდ ფორმულირებას, ჯგუფის წევრებთან შეთანხმებას, მათი საქმიანობის კორდინაციას და შესაძლებლობების ადექვატურად შეფასებას, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვას.

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტები შეძლებენ:

- აწარმოონ კომუნიკაცია, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე;
- დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარების გამოყენებას;
- შეხვედრებში მონაწილეობას და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემას;
- პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვას და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობას.

სწავლის, ცოდნის მუდმივად განახლების უნარი:

სტუდენტები შეძლებენ:

- სასწავლო საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენებას და საკუთარი სწავლის პროცესის მართვას;
- გააცნობიერონ ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობა;
- ობიექტურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი:

სტუდენტები შეძლებენ:

- აითვისონ ახალი ტექნოლოგიები, კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები და პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარები.

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, ღირებულებები:

სტუდენტები შეძლებენ:

- დროის ორგანიზებას, პრიორიტეტების შერჩევას, ვადების დაცვასა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულებას;
- თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვას;
- შეაფასონ სამუშაოს შესრულება პროფესიული მიდგომებით;
- მოახდინონ თავისი შესაძლებლობების რეალიზება და კარიერული წინსვლა.

დარგობრივი კომპეტენციები

ცხოველთა ბიოლოგიური თავისებურებები:

სტუდენტები შეძლებენ:

- ცხოველის ორგანიზმის უჯრედების, ქსოვილების, ცალკეული ორგანოებისა და სისიტემების მორფო-ფუნქციურ დახასიათებას;
- ჯანმრთელი ქსოვილების სახისა და ორგანოების იდენტიფიცირებას, ორგანიზმში ორგანოთა ადგილმდებარეობის (ტოპოგრაფიის) განსაზღვრას;
- ორგანოთა ფორმის, ზომის და ფიზიოლოგიური პარამეტრების ნორმის დადგენას.

ცხოველების ტიპიური პათოლოგიური პროცესები და მათი გამოვლინებები სხვადასხვა ორგანოთა სისტემებში:

სტუდენტები შეძლებენ:

- დარღვეული ფუნქციებისა და დაზიანების ლოკალიზაციის დადგენას და ფუნქციების კომპენსაცია-დეკომპენსაციის არსებობას მიზეზ-შედეგობრივ კავშირში;
- პათოლოგიის სახის განსაზღვრას პათომორფოლოგიური (მაკრო- და მიკრომორფოლოგიური) კვლევის მეთოდების გამოყენებით;

- დაზიანებული ორგანოებიდან პათოლოგიური მასალის აღებას, ფიქსაციას და ლაბორატორიაში გადაგზავნას, პათოჰისტოლოგიური პრეპარატების მომზადებასა და მიკროსკოპირებას;
- პათომორფოლოგიური კვლევების საფუძველზე სიკვდილის შემდგომი დიაგნოზის დადგენას და დიფერენციალურ დიაგნოსტიკას;
- ცხოველების ლეშის გაკვეთას პათოლოგიური პროცესისა და დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით და გაკვეთის დოკუმენტაციის შედგენას;
- სასამართლო სავეტერინარო გაკვეთას (ექსპერტიზა) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას, როგორც პროფესიული დარღვევების, ასევე სხვა სახის სადავო საკითხების შემთხვევაში;
- გაკვეთის დროს დაიცვან პირადი და გარემოს უსაფრთხოებისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესები. პათოლოგიური პროცესის სფეციფიკისა და დაავადების ხასიათის გათვალისწინებით და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით მოახდინონ გაკვეთის შემდგომი ანარჩენების განკარგვა და ლეშის გაუვნებლობა.

პროპედევტიკა და კლინიკური დიაგნოსტიკა

სტუდენტები შეძლებენ:

- პაციენტის შესახებ ანამნეზის შეკრებას, ცხოველების ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების გამოყენებას, შესაბამისი იარაღებისა და ინსტრუმენტების შერჩევას და დიაგნოზის დასმას;
- დაავადების პროგნოზის განსაზღვრას, მართვას და პრევენციას;
- ცხოველებზე განახორციელონ სხვადასხვა სახის მანიპულაციები პაციენტის ანატომიური თავისებურების გათვალისწინებით;
- ჩაატარონ სისხლისა და შარდის მორფოლოგიური, ბიოქიმიური კვლევა, ელექტროკარდიოგრამის გადაღება და გაშიფრვა.

ცხოველთა ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა

სტუდენტები შეძლებენ:

- დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით პათოლოგიური მასალის აღებას, დამუშავებას, მარკირებას, კონსერვაციას;
- დიაგნოსტიკისა და დიფერენციული დიაგნოზის დადგენის მიზნით ლაბორატორიული კვლევის მეთოდებისა და ტექნიკის შერჩევას;
- ჩაატარონ ლაბორატორიული ანალიზი კვლევის მიკროსკოპიული, კულტურალური, სეროლოგიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური, ფაგოდიაგნოსტიკისა და ბილოგიური ცდის მეთოდების გამოყენებით;
- ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტიფუნგალური და სხვა სახის პრეპარატებისა და დიაგნოსტიკუმების შერჩევა - გამოყენებას, დიაგნოზიის დადგენის, მკურნალობისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ცხოველების შინაგანი და ქირურგიული დაავადებები, მკურნალობა და პროფილაქტიკა

სტუდენტები შეძლებენ:

- შინაგანი დაავადებებისა და ქირურგიული პათოლოგიების დროს გამოსაკვლევი ორგანოების ტოპოგრაფიის დადგენას, სადიაგნოსტიკო მეთოდების შერჩევასა და გამოყენებას;
- მოახდინონ მიღებული შედეგების ანალიზი, დასვან დიაგნოზი და გაატარონ დიფერენციული დიაგნოსტიკა;
- სწორად შეარჩიონ მკურნალობისა და პრევენციის ღონისძიებები, შეაფასონ პაციენტის კლინიკური სტატუსი, მოსალოდნელი შედეგებისა და სირთულების გაცნობიერება და განსაზღვრონ ევთანაზიის ჩატარების აუცილებლობა;

- სწორად განსაზღვრონ ცხოველთა გადაუდებელ პაციენტებად დაჯგუფება, დაავადების მართვის გეგმის შემუშავებას და პირველადი დახმარების ეფექტურ განხორციელებას.

პრევენციული სავეტერინარო მედიცინა

სტუდენტები შეძლებენ:

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შეფასებას, წყლის, ჰაერის, ნიადაგის ნიმუშების აღებას და გამოსაკვლევად გამზადებას;
- გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით სწორად შეარჩიონ მეთოდები და განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- ცხოველების დაცემის შემთხვევაში მოახდინოს ლეშის მიზანმიმართულად განკარგვა.

ნორმალური და პათოლოგიური იმუნური პროცესები

სტუდენტები შეძლებენ:

- იმუნოლოგიური სტატუსის შეფასებას, შესაბამისი იმუნური კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- დადგინონ შესაბამისი იმუნოპროფილაქტიკური და იმუნოთერაპიული საშუალებებისა და მეთოდიკის გამოყენების აუცილებლობა და თავისებურებები.

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფები, მოქმედების მექანიზმი და გამოყენება

სტუდენტები შეძლებენ:

- სამკურნალწამლო ფორმების დამზადებას. ახალი პრეპარატების ექსპერიმენტული, პრეკლინიკური და კლინიკური გამოცდის ჩატარების ორგანიზებას;
- დიაგნოზის საფუძველზე შესაბამისი სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატების შერჩევას და რეცეპტის გამოწერას;
- სწორად მოახდინონ პრეპარატის დოზირება, დაადგინონ მისი ჯერადობა და ინტერვალი;
- მოახდინონ პრეპარატის არასწორი მოხმარებით გამოწვეული გართულებების პრევენცია და გადაჭარბებული დოზით გამოწვეული ინტოქსიკაციის შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევა;
- ფარმაცევტული პროდუქტის შენახვის პირობების დაცვით განთავსებას, მათ გაცემას და გამოყენებას კანონმდებლობის შესაბამისად.

მეცხოველეობა, ცხოველთა მომშენებლობა, ჰიგიენა და კვება

სტუდენტები შეძლებენ:

- მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის მართვის საკითხების დახასიათებას;
- ცხოველების მოშენების, მოვლა-შენახვის და პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდას და მათ კეთილდღეობას;
- ცხოველისა და ფრინველის გამოზრდის ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით გამოწვეული დაავადებებისა და სტრესული რეაქციების პრევენციას;
- ცხოველთა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანის ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას;
- გენეტიკური დაავადებების პროგნოზირებას, მართვასა და პრევენციას;
- დაადგინონ ცხოველის ზრდა-განვითარებასა და ადრეულ ასაკში პროდუქტიულობის ფორმირებებს შორის კავშირი;
- ცხოველთა საზრდოობის ბიოლოგიური საფუძვლების დახასიათებასა და საკვების ყუათიანობის განსაზღვრას, ასევე ნორმირებული კვებისას ულუფის დაბალანსებას და შედგენილი ულუფის პრაქტიკაში გამოყენებას.

სურსათის ჰიგიენა, უვნებლობა და ტექნოლოგია, ცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული კონტროლი

სტუდენტები შეძლებენ:

- ცხოველური წარმოშობის სურსათის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპისათვის ჰიგიენური მოთხოვნებისა და საფრთხეების განსაზღვრას;
- სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების სწორად შერჩევასა და გამოყენებას;
- საკვებისმიერ დაავადებებზე პრევენციული ღონისძიებების გატარებას და მოქმედი წესების შესაბამისად ნიმუშების აღებას, ლაბორატორიაში გადაგზავნასა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას;
- ცხოველური წარმოშობის სურსათის საფრთხის ანალიზის ჩატარებას, საფრთხის თავიდან აცილებას ან/და აღმოფხვრას, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების შერჩევას;
- ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი ვეტერინარული შემოწმების მეთოდიკის გამოყენებას.

ცხოველის გამრავლების ბიოტექნოლოგია, ცხოველთა მეანობა და რეპროდუქციული ორგანოების დაავადებები

სტუდენტები შეძლებენ:

- სახვადასხვა სახის ცხოველების ხელოვნურ განაყოფიერებას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- რეპროდუქციული ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას;
- ცხოველთა სამეანო გამოკვლევას, მაკეობის ვადების განსაზღვრას, უნაყოფობისა და გართულებული მშობიარობის მიზეზების დადგენასა და კვალიფიციური სამეანო დახმარების გაწევას.

სავეტერინარო კანონმდებლობა და რეგულაციები

სტუდენტები შეძლებენ:

- საკანონმდებლო ბაზასთან მუშაობას, საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი რეგულაციების შერჩევას და გამოყენებას;
- მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის სწორად გამოყენებას დაავადებების კონტროლისა და პრევენციის ღონისძიებების განსახორციელებლად;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) სტანდარტების, რეკომენდაციების და ვეტერინარიაში ევროკავშირის კანონმდებლობაზე ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზს.

სავეტერინარო სამსახურების ინსტიტუციური სისტემა და მენეჯმენტი

სტუდენტები შეძლებენ:

- ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ღონისძიებების განმახორციელებელი ინსტიტუციური სისტემის მოწყობის საკითხების შეფასებას, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ღონისძიებების დახასიათებას;
- პროფილაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ვეტერინარული აღრიცხვის წარმოებას;
- ვეტერინარულ საქმიანობაში მარკეტინგის საფუძვლების გამოყენებას და სამოქმედო გეგმის შედგენას;

- განსახორციელებელი ღონისძიებების დანახარჯების გაანგარიშებას და მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის გამოთვლას.

XX. დასაქმების სფერო:

ვეტერინარის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მათ უფლება ექნებათ, იმუშაონ:

- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები;
- ფარმაცევტული საწარმოები;
- სასაკლაოები;
- ცხოველთა კოსმეტიკური კაბინეტები;
- ზოომაღაზიები,ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები და ფაბრიკები, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის მეურნეობები, კინოლოგიური სამსამსახური;
- სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები;
- აგრარული ბაზრები, სურსათის ბიზნეს ოპერატორები, დაცული ტერიტორიები და სხვა.

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
II. პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა
III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა
IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
V. სწავლებისენა: ქართული
VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ინფორმატიკის დოქტორი **(PhD in Informatics);** კოდი 0612
VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი – 135 კრედიტს. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტი:
დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.
სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
პროფესორის ასისტენტობა[4] - 15 კრედიტი (სალექციო კრედიტები ითვლება სასწავლებელში ამ კურსისადმი მინიჭებული კრედიტების მიხედვით)**;**
სემინარი[5] - 15 კრედიტი;
სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები (დარგობრივი კურსები) არის არჩევითი.
სალექციო კურსები მთლიანობაში შეადგენს არაუმეტეს 15კრედიტისა;

კვლევითი კომპონენტი**:**
სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა - 135 კრედიტი;
დოქტურანტურაში სწავლის ხანგძლივობაა არანაკლებ 3 წელი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ ოთხი სემესტრით (2 წელი) კრედიტების იმავე რაოდენობის შენარჩუნებით.
სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვება შეიძლება მოხდეს ექვს სემესტრზე უფრო ნაკლებ დროში (არანაკლებ ხუთი სემესტრი), თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება; თუ სადისერტაციო საბჭო აღიარებს დოქტორანტის მიერ საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიდან, ან უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებულ მოპოვებულ

[4] *ასისტენტობა* ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც მას გამოადგება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო (ჯგუფში მუშაობის ,პრაქტიკული მეცადინეობის საათები) არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

[5] სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი/დეკანის მოადგილე) შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამები ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

კრედიტებს; ასევე, თუ დოქტორანტს კოლოკვიუმზე ექნება გატანილი სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ: ინჟინერიის, მათემატიკის და ფიზიკის სპეციალობებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის (ინგლისური) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულენაში. (გამოცდა ჩატარდება „ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად) იხილეთ **დანართი.**

უცხოური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და გამოცდების ფორმატს (გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონული პროგრამით ან შერეული სახით).

IX. პროგრამის ხელმძღვანელი:

ვასილ ტაბატაძე - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საკონტაქტო ინფორმაცია:ელ.ფოსტა – vasilitabatadze@gmail.com ტელ.: 599 00 60 94).

ლელა წითაშვილი - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი lelatsitashvili@sjuni.edu.ge 599 44 00 53

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

კოორდინატორი - **ლერი ნოზაძე** - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი lerinozadze@yahoo.com 555 94 20 52

X პროგრამის აკრედიტაცია 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №28; (აკრედიტაციის ვადა 28.06.2023 წ.)

XI პროგრამის მიზანი:

1. ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად ინფორმატიკის მიმართულებით, რომელსაც ექნება დარგის უახლესი ცოდნა და შეეძლება განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები
2. LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის მრავალპარამეტრიანი ამოცანების გადაჭრა, ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება;
3. ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია;
4. მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება.

XII. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	1. აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა. 2. აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.
უნარი	შეუძლია: 3. LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის მრავალპარამეტრიანი ამოცანების გადაჭრა, ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება; 4. ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია; 5. მონაცემთა ბაზების დაპროექტება, მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება, პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტური გზის ძიება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; 6. კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, მეცნიერული დასკვნებისა და არგუმენტების ეფექტურად წარმოჩენა; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.

XVI. დასაქმების სფეროები:

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევების და სიღრმეების ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის უნარი, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები.

17. დოქტორანტის შეფასება

სასწავლო კომპონენტი:

13. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ხორციელდება შემდეგი წესით:

    ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

    ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

    გ. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

14. შეფასების სისტემით დასაშვებია

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

15. სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
16. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
    - შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
    - დასკვნითი შეფასება.
17. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
18. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
19. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვრდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
20. შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
21. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარ/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
22. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.

23. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.
24. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

19. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.
20. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი კრიტერიუმებით.

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
II. პროგრამის დასახელება: აგრონომია
III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა
IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
V. სწავლებისენა: ქართული
V I. მისანიჭებელი ხარისხი: აგრონომიის დოქტორი (PhD in Agronomy); კოდი 0801
VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი – 130 კრედიტს. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:
სასწავლო კომპონენტი:
დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.
სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
პროფესორის ასისტენტობა[6] - 15 კრედიტი (სალექციო კრედიტები ითვლება სასწავლებელში ამ კურსისადმი მინიჭებული კრედიტების მიხედვით);
სემინარი[7] - 20 კრედიტი;
სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები (დარგობრივი კურსები) არის არჩევითი.
სალექციო კურსები მთლიანობაში შეადგენს არაუმეტეს 15 კრედიტისა;

კვლევითი კომპონენტი:
სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა - 130 კრედიტი;

დოქტურანტურაში სწავლის ხანგძლივობაა ექვსი სემესტრი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ ოთხი სემესტრით.

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვება შეიძლება მოხდეს ექვს სემესტრზე უფრო ნაკლებ დროში, თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, თუ სადისერტაციო საბჭო აღიარებს დოქტორანტის მიერ საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიდან, ან უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებულ მოპოვებულ

---

[6] *ასისტენტობა* ითვალისწინებს დოქტორანტის ჩართვას პროფესორის საქმიანობაში, იმუნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც მას გამოადგება აკადემიურ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის. იგი მოიცავს მონაწილეობას ისეთ საქმიანობაში როგორიცაა: სამუშაოჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება; დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება წინასწარ შედგენილიკრიტერიუმების მიხედვით იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო (ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის საათები) არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

[7] სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი/დეკანის მოადგილე) შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სემინარი არ არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტი სამეცნიერო მოხსენებას ამზადებს სხვადასხვა დონის კონფერენციისათვის. მოხსენების სტრუქტურის, პრობლემის აქტუალობის, აგების ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ და ა.შ. კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისაგან. სამეცნიერო მოხსენება წარედგინება ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულ პირებს. მიღწეული შედეგი შეფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

კრედიტებს, ასევე, თუ დოქტორანტს კოლოკვიუმზე ექნება გატანილი სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია.

VIII.პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტურანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აგრონომიის მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად).

უცხოური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და გამოცდების ფორმატს (გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონული პროგრამით ან შერეული სახით).

IX. პროგრამის ხელმძღვანელები:

1. **ავთანდილ კორახაშვილი** -სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
   საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა – a.korakhashvili@agruni.edu.ge; ტელ. Mob 577406751;
2. **თემელ გოქთურქი** - ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, სატყეო მეურნეობის ენტომოლოგიისა და დაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; საკონტაქტო ინფორმაცია: temel.gokturk@gmail.com, ტელ. Mob. 00905425831403;
3. **კოორდინატორი-ზაირა ტყებუჩავა** -სოფლის მეურნეობის დოქტორი -ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **საკონტაქტო ინფორმაცია:** -zairaika@mail.ru 577957702

X პროგრამის აკრედიტაცია 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №29; (აკრედიტაციის ვადა 28.06.2023 წ.).

XI. პროგრამის მიზანები:

1. მოამზადოს საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე კონკურენტ უნარიანი მკვლევარი, რომელსაც შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დაგეგმოს და ჩაატროს დამოუკიდებელი კვლევა უახლეს აგრო, ბიო და ნანო ტექნოლოგიების აგრონომიაში გამოსაყენებლად;
2. მისცეს სტუდენტებს აგრარულ (მემცენარეობა/საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევის თნამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა პრობლემათა გადაწყვეტის უნარის გამომუშავება და პრაქტიკული კვლევების განხორციელების მეთოდების დაუფლება;
3. გააცნოს დოქტორანტი კვლევის ეთიკურ ნორმებს და განუვითაროს მას ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი.

XII. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	**კურსდამთავრებულს აქვს:** 1. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა აგრონომიის (მემცენარეობა/ საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). 2. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მცენარეთა მავნებელ დაავადებების იდენტიფიცირების და მათ წინააღმდეგ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების. ბიოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების მეთოდების, ვაზისა და ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანის, ჯიშთა გამოცდის, ექსტრემალურ პირობებში მცენარეთა რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლების გამოყენების, მევენახეობისა და მეხილეობის დარგებში თანამედროვე მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების.
უნარი	**კურსდამთავრებულს შეუძლია:** 3. აგრონომიის (მემცენარეობა/ საკვებწარმოების, სელექცია-მეთესლეობის, მცენარეთა დაცვის და მევენახეობის) სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და ასახავს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით. 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მოყვანის უახლეს აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა მართვა, მაღალ მოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მისაღებად ინოვაციური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელება. 5. საკუთარი კვლევის წარმატებულად წარდგენა სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით მათ შორის უცხოურ ენაზე. 6. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, აგრონომიის არატიპიური, განსაკუთრებით რთული პრობლემების გადაჭრისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.

XVI. დასაქმების სფეროები:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო და მსხვილი მწარმოებელი კომპანიები;
- თესლის,სარგავი მასალისა და ნერგის მწარმოებელი კომპანიები;
- სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სააგენტოს სამსახურები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა სამთავრობო უწყებები;

18. დოქტორანტის შეფასება

სასწავლო კომპონენტი:

25. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ხორციელდება შემდეგი წესით:

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

გ. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

26. შეფასების სისტემით დასაშვებია

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

27. სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

28. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

29. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

30. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

31. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვრდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

32. შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.

33. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარ/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით

აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.

34. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
35. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.
36. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის „ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

21. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.
22. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას დისერტაცია ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) შესაბამისი კრიტერიუმებით.